ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 9 თებერვალი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. ნუგზარ შუშანია
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. როსტევან გვარამია
8. ლევან ქავთარაძე
9. თენგიზ აბაკელია
10. ვასილ კუკავა
11. მალხაზ ლაგვილავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი შემოსულია წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით, მისი წინადადების საფუძველზე გამოიცემა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, ამასთან განაცხადა, რომ 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი გაიზარდა 349,4 ათასი ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებებიდან 109,9 ათასი ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 239,5 ათასი ლარით. მადლობა გადაუხადა გამგეობის შესაბამის სამსახურებს გაწეული საქმიანობისთვის, რადგანაც მეტიწილი თანხის შემოდინება მათი მუშაობის შედეგია. გამომსვლელმა მცირეოდენი შესავლის შემდგომ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 8 თებერვლის N04/279 და 2016 წლის 9 თებერვლის N 04/289 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის

ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 8 თებერვლის N04/279 და 2016 წლის 9 თებერვლის N 04/289 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოვიდა 2016 წლის 08 თებერვლის N04/279 წერილით, რომლითაც საკრებულოს განსახილველად წარუდგინა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხოლო 2016 წლის 09 თებერვლის N04/289 წერილით წარმოადგინა იგივე დადგენილების პროექტი, იმ ტექნიკური შეცდომების დაზუსტებით რაც გაპარულ იქნა პირველადად წარმოდგენილ პროექტში, დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები: გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლები 2422,5 ათასი ლარით, კერძოდ: მუხლიდან „გრანტები“ (რგფ). აგრეთვე მოხდა ნაშთის ზრდა 349,4 ათასი

ლარით და შეადგინა 828,4 ათასი ლარი. ფაქტიური ნაშთის ზრდა 349,4 ათასი ლარი და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 2422,5 ათასი ლარი, სულ 2771,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებებზე 70,2 ათასი ლარი; პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებებზე 2616,6 ათასი ლარით. მუხლი „წინა წელს გამოუყენებელი თანხების დაბრუნება“ ასიგნებაზე 85,1 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9066,7 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელი მიესალმა იმ ფაქტს, რომ პროექტში გათვალისწინებულია თანხები მრავალსართულიანი ბინების მიმდებარე ტერიტორიის (ეზოების) კეთილმოსაწყობად და მომავალში იმედი გამოთქვა, რომ ქალაქის იერსახის მოწყობისთვის თანხები შემდგომშიც გამოიძებნება, თუმცა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალაქის იერსახის დამახინჯების აღკვეთას.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ გამგეობის ზედამხედველობის განყოფილების განყოფილებაში განხორციელდა საკადრო ცვლილებები, ახალმა ხელმძღვანელმა კი წარმოადგინა სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის იერსახის მკაცრად გაკონტროლებას, რაც უდაოდ მისასალმებელია. ახლო პერიოდისთვის მან რეაგირება მოახდინა ქალაქში უკანონოდ დაწყებულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ეს ფაქტი შეიძლება ვინმესთვის მტკივნეული იყოს, მაგრამ ნამდვილად ვერ დაუშვებენ ქალაქის იერსახის დამახინჯებას.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა